

შეტყობინება მეორე

ანნას მსახურება

ადგილები წერილიდან: 1 მეფ. 1:1–2:11, 18-21, 26

- I. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, თუ რა არის უფლისმიერი აღდგენა; უფლისმიერი აღდგენა არის ის, რომ ააშენოს სიონი, რომელიც არის წინასახე გამარჯვებულებისა როგორც ქრისტეს სხეულის სინამდვილის, რათა დასრულდეს წმიდა ქალაქი, ახალი იერუსალიმი:
- ა. სიონი იყო დავით მეფის ქალაქი (2 მეფ. 5:7), ქალაქ იერუსალიმის ცენტრი, სადაც აშენდა ტაძარი როგორც საცხოვრებელი დედამიწაზე (ფსალ. 48:2; 9:11; 74:2; 76:2ბ; 135:21; ესაია 8:18).
 - ბ. ძველ აღთქმაში იყო ქალაქი იერუსალიმი სიონთან როგორც ცენტრთან ერთად; წინასახეების სისტემაში ეკლესიური ცხოვრება არის დღევანდელი იერუსალიმი; ეკლესიურ ცხოვრებაში უნდა იყოს ჯგუფი გამარჯვებულებისა – გასრულყოფილებული და სიმწიფეს მიღწეული ღმერთკაცებისა, და ეს გამარჯვებულები არიან დღევანდელი სიონი – შდრ. გამ. 14:1-5.
 - გ. როგორც გამორჩეული ნიშანი და სილამაზე წმიდა ქალაქ იერუსალიმისა (ფსალ. 48:2; 50:2), სიონი არის წინასახე გამარჯვებულებისა როგორც მწვერვალის, ცენტრის, ამალღებული ადგილის, გამაგრებული ადგილის, გამდიდრებული ადგილის, სილამაზისა და სინამდვილისა ეკლესიის (48:2, 11-12; 20:2; 53:6ა; 87:2)
 - დ. განმასხვავებელი ნიშანები, სიცოცხლე, კურთხევა და განმტკიცება იერუსალიმისა გამოდის სიონიდან – 3 მეფ. 8:1; ფსალ. 51:18; 102:21; 128:5; 135:21; ესაია 41:27; იოილ. 3:17.
 - ე. გამარჯვებულები როგორც სიონი არიან ქრისტეს სხეულის სინამდვილე და ასრულებენ სხეულის აშენებას ადგილობრივ ეკლესიებში, რათა მოიტანონ დასრულებული წმიდა ქალაქი, ახალი იერუსალიმი, საბოლოო წმიდათა წმიდა როგორც ღმერთის საცხოვრებელი მარადისობაში (გამოცხ. 21:16; შდრ. გამ. 26:2-8; 3 მეფ. 6:20); ახალ ცაზე და ახალ მიწაზე მთელი ახალი იერუსალიმი გახდება სიონი ყველა მორწმუნესათნ როგორც გამარჯვებულებთან ერთად (გამოცხ. 21:1-3, 7, 16, 22).
 - ვ. გამოცხადებაში უფალს უნდა, მიიღოს სიონი და აშენებს სიონს, გამარჯვებულებს; ეს არის სიღმისეული სინამდვილე სულიერი გამოცხადებისა ღმერთის წმიდა სიტყვაში; ჩვენ აუცილებლად გვჭირდება სასოწარკვეთილი განწყობა, რათა ვილოცოთ ნებისმიერ ფასად და გადავიხადოთ გარკვეული საფასური, ისევე როგორც ამას აკეთებდა მოციქული პავლე – ეფეს. 6:17-18; კოლ. 4:2; ფილიპ. 3:8-14.
 - ზ. ჩვენი გამოძახილი უფლის მოწოდებაზე, მიმართული გამარჯვებულებისადმი ამ საუკუნეში, არის ის, რომ ჩვენ გაეხდეთ სიცოცხლით სავსენი; ვიყოთ სიცოცხლით სავსენი – ნიშნავს ვიყოთ ცოცხლები და მოქმედნი ერთობაში ჩვენს ცოცხალ და მოქმედ ღმერთთან; ღმერთის მოძრაობა დედამიწაზე მისი მარადიული სახლმშენებლობის ასრულებისათვის ხორციელდება საბოლოოდ გამარჯვებულების მეშვეობით.

- თ. ამ დაპყრობილ მიწაზე არის იეჰოვას მთა, სიონის მთა, რომელიც მთლიანად გახსნილია უფლისათვის და რომელსაც ის მთლიანად ფლობს; გამარჯვებულები, რომელთა წინასახეც არის სიონი, – არის პლაცდარმი, რომლის წყალობითაც უფალი როგორც დიდების მეფე დაბრუნდება და მოიპოვებს მთელ დედამიწას როგორც თავის სამეფოს – ფსალ. 24:1-3, 7-10; საქმე. 2:34-35; 7:13-14; იოილ. 3:11; გამოცხ. 11:15; 19:13-14.
- ი. არ არსებობს სხვა საშუალება იმისათვის, რომ მივადწიოთ ღმერთის მარადიული სახლმშენებლობის მწვერვალს, ქრისტეს სხეულის სინამდვილეს, გარდა ლოცვისა; იმის შედეგად, რომ ჩვენ გაეხდებით გამარჯვებულები როგორც ქრისტეს სხეულის სინამდვილე, რათა ვიყოთ ქრისტეს პატარძალი ეს საუკუნე, ეკლესიის საუკუნე, დასრულება და დაბრუნდება ქრისტე როგორც დიდების მეფე, რათა დაიპყროს დედამიწა, მოიპოვოს ის და მართოს ის თავის გამარჯვებულებთან ერთად სამეფოს საუკუნეში – მუხ. 7-9; 20:4-6; ფსალ. 24:7-10.

II. მეფეთას პირველ წიგნში ნაჩვენებია წინასახეში ქრისტეს როგორც მეფის მოყვანა (რომლის წინასახეც არის დავითი) მის სამეფოსთან ერთად:

- ა. ეელის დროს აარონის ძეგლი სამღვდლოება კიდევ უფრო მეტად დაძველდა და დასუსტდა (2:12-29), და ღმერთს უნდოდა, გაეკეთებინა რაღაც ახალი თავისი მარადიული სახლმშენებლობის განსახორციელებლად:
 1. მსაჯულთა წიგნის შინაარსი არის ასეთი: ისრაელის შვილები დაიმედებულნი არიან ღმერთზე, მიატოვებენ ღმერთს, განიცდიან მარცხს თავიანთი მტრებისაგან და თავიანთ საცოდავ მდგომარეობაში ინანიებენ ღმერთის წინაშე; როდესაც ისინი ბრუნდებოდნენ უფლისაკენ, ის წამოაყენებდა ამა თუ იმ მსაჯულს, რომელიც თავს აღწევინებდა მათ მტანჯველების ხელიდან, მაგრამ, როდესაც ეს მსაჯული კვდებოდა, ისინი უბრუნდებოდნენ თავიანთ ბოროტ გზას და ისევ იხრწნებოდნენ (1:1-2; 2:11-3:11); ეს გახდა ციკლი, რომელიც მეორდება მსაჯულთა წიგნში შეიდეჯერ.
 2. მრავალი წლის განმავლობაში ეკლესია უბრალოდ იმეორებდა ისრაელის ისტორიას მსაჯულთა დროს, მაგრამ დღეს ღმერთს უნდა „სამუელები“, გამარჯვებული ნაზარეველები (რიცხ. 6:1-9 და შენიშვნები), რომლებიც მოიყვანენ ქრისტეს, ნამდვილ დავითს, როგორც მმართველ მეფეს თავის სამეფოსთან ერთად, რომელიც გაგრძელებდა ათასი წელი და რომელშიც გამარჯვებულები „გაბრწყინდებიან როგორც მზე, თავიანთი მამის სამეფოში“ (მათე 13:43).
 3. დღეს ჩვენ უნდა ვუყუროთ უფალს იმედით, რომ მივიღებთ რაღაც ახალს, ახალ გამოცოცხლებას, რომელიც შეცვლის ამ საუკუნეს, ეკლესიის საუკუნეს სატანურ ქაოსში, მეფისა და მისი სამეფოს საუკუნით, რომელიც გაგრძელებდა ათასი წელი.
- ბ. იმისათვის, რომ დაბადებულიყო სამუელი, ღმერთმა შეუმჩნევლად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი; ერთი მხრივ, მან დაუხშო საშო ანნას; მეორე მხრივ, მან მოამზადა ფენინა, რომელიც ძალიან აღიზიანებდა ანნას, „რათა გაემწარებინა ის, რადგან იეჰოვამ დაუხშო მას საშო“ (1 მეფ. 1:5-6); წლიდან წლამდე, როდესაც ანნა დადიოდა იეჰოვას სახლში, ფენინა აღიზიანებდა მას იმ დონეზე, რომ ანნა ტიროდა და არ ჭამდა საჭმელს (მუხ. 7).
- გ. ამან აიძულა ანნა ელოცა იმაზე, რომ უფალს მიეცა მისთვის ვაჟი; ანნას ლოცვის დასაწყისი, ლოცვისა, რომელშიც მან მისცა ღმერთს დაპირება, იყო

დაფუძნებული არა ანნას მიერ, არამედ ღმერთის მიერ; ანას ღოცვა და მისი დაპირება მოსაწონი იყო ღმერთისათვის, და მან გახსნა მისი საშო (მუხ. 10-11, 20); ანნა დაორსულდა, შვა ჩვილი და უწოდა მას სამუელი (რაც ნიშნავს „ღმერთის მიერ გაგონილი“ ანუ „ღმერთისთვის ნათხოვი“).

- დ. ღმერთს შეეძლო აღეძრა ანნა, ვინაიდან ის იყო ადამიანი, ერთი მასთან სიცოცხლის ხაზზე; სიცოცხლის ხაზი არის – ხაზი, მშობელი ქრისტესი ღმერთის ხალხის ტკობისათვის, რათა ღმერთს დედამიწაზე ჰქონდეს მისი სამეფო – ეკლესია როგორც ქრისტეს სხეული (მათე 16:18-19; რომ. 14:17-18; ეფეს. 1:22-23), სამართიანი ღმერთის ორგანიზმი; თუ ღმერთი შეძლებს, რომ მოიპოვოს ასეთი ადამიანი, რომელიც ერთია მასთან სიცოცხლის ხაზზე, ღმერთს აქვს შესაძლებლობა, რომ იმოძრაოს დედამიწაზე (1 მეფ. 1:1-2:11, 18-21, 26).
- ე. სინამდვილეში სამუელის სათავე არ იყო ადამიანი, ნამდვილი სათავე იყო ღმერთი, რომელიც უზენაესი ძალაუფლების თანახმად და საიდუმლოდ აღძრავდა თავის ადამიანებს, რომ ემოქმედათ; ანნას ღოცვა იყო ექო, რომელითაც გამოითქვა ხმამაღლა ღმერთის გულის სურვილი; ეს იყო ადამიანური თანამშრომლობა ღვთაებრივ მოძრაობასთან ერთად ღმერთის მარადიული სახლმშენებლობის განსახორციელებლად:
 1. ანნას ღოცვა გვიჩვენებს, რომ ღმერთი მოძრაობს, პასუხობს მის ღოცვას, იმის გამო, რომ წარმოქმნას ნაზარეველი, გამარჯვებული, – ის, ვინც აბსოლუტურად გადაცემულია ღმერთის სურვილის ასრულებისათვის – 1:10-20.
 2. ნაზარეველი არის ადამიანი, რომელიც აბსოლუტურად მიძღვნილია ღმერთისათვის, ის, ვინც ღებულობს ღმერთს როგორც თავის მეფეს, უფალს, თავსა და ქმარს, და ის, ვინც არ ავლენს ინტერესს ქვეყნიურ სიამოვნებებით ტკობისადმი; ჯერ კიდევ დაბადებამდე, სამუელი დედამისმა მიუძღვნა ღმერთს, რათა ის გამხდარიყო ასეთი ადამიანი.

III. მეფეთას პირველი წიგნი წარმოადგენს მსახურებას, რომელსაც მოჰყავს მეფე მის სამეფოსთან ერთად; ამ მსახურებას შეიძლება ეწოდოს „ანნას მსახურება“.

- ა. ფენანა და ანნა წარმოადგენენ ორ სრულიად განსხვავებულ პრინციპს და ორ სრულიად განსხვავებულ მსახურებას (1:2, 4, 7); ანნას მსახურება იყო უბრალოდ ის, რომ მოეყვანა მეფე, და არა ის, რომ ჰყოლოდა მრავალი შვილი; ფენანას მსახურება იყო ის, რომ ჰყოლოდა მრავალი შვილი, ანუ ეს იყო მსახურება, რომელიც იძლეოდა მნიშვნელოვან შედეგებს; ფენანა და მისი შვილები წარმოადგენენ ღმერთის ხალხის უმრავლესობას, მაგრამ არავის მათ შორის არა აქვს არავითარი ურთიერთობა იმასთან, რომ შეცვალოს საუკუნე იმ მიზნით, რომ დააბრუნოს ქრისტე როგორც დიდების მეფე.
- ბ. ანნას გზა არ იყო ადვილი, და ის გახდა კიდევ უფრო რთული იმის გამო, რომ ფენანა ადარებდა თავის თავს მას და დასცინოდა მას; მათ, ვისაც სურს, რომ იყოს „ანნა“ უნდა გაემზადონ დევნებისათვის, ზიზღისათვის, ცრემლებისა და მარხვისათვის.
- გ. მნიშვნელოვანია არა უბრალოდ ის, თუ რამდენი ადამიანი შეგვიძლია გადავარჩინოთ, – მნიშვნელოვანია, რომ ღმერთმა მიიღოს გამარჯვებულების საზოგადოება; ღმერთს უნდა, რომ მიიღოს ხალხი, რომლებსაც შეუძლიათ ღოცვა და სამეფოს მოყვანა ქრისტესთან როგორც მეფესთან და მის გამარჯვებულებთან როგორც თანამეფეებთან ერთად.

დ. ანნას ღოცვა იყო საშუალება სამუელის დაბადებისათვის, ჩვენი ღოცვების შედეგი უნდა იყოს გამარჯვებულების დაბადება; ჩვენ უნდა ვილოცოთ ამალღებულ ქრისტესთან ერთობაში მის ზეციურ მსახურებაში გაძლიერების ეტაპზე გამარჯვებულების წარმოსაქმნელად – გამოცხ. 1:4; 3:1; 4:5; 5:6; 2:7, 11, 17, 26-29; 3:5-6, 12-13, 21-22.

ე. ანნა მივიდა ისეთ ზღვართან, როდესაც მას აღარ შეეძლო მოძრაობა წინ ძის გარეშე; ის მივიდა ისეთ ზღვართან, როდესაც მას უნდა გასჩენოდა ძე; ეს ძე მეფეთას პირველ წიგნში არის წინასახე გამარჯვებული ერთობლივი ძე ვაჟისა გამოცხადების მე-12 თავში, მისი, ვინც ცვლის საუკუნეს, რათა მოიყვანოს მეფე მის სამეფოსთან ერთად:

1. ღმერთის ყველაზე მნიშვნელოვანი მოწიებითი მოძრაობა ჩანს ძე ვაჟის შემთხვევაში გამოცხადების მე-12 თავში, და ეს მოძრაობა შედგება ქრისტესაგან როგორც გამარჯვებული წინამძღოლისაგან და ჩვენგან როგორც გამარჯვებულებისაგან, რომლებიც მიჰყვებიან მას; ვინაიდან ღმერთს უნდა, დაასრულოს ეს საუკუნე და მოიყვანოს მეფის საუკუნე მის სამეფოსთან ერთად, მას სჭირდება გამარჯვებული ერთობლივი ძე, ვაჟი როგორც თავისი მოწიებითი იარაღი.
2. ძე ვაჟის ატაცება ასრულებს ეკლესიის საუკუნეს და მოჰყავს სამეფოს საუკუნე; ამ ატაცების შემდეგ გაისმის „დიდი ხმა ცაში რომ ღაპარაკობდა: „დადგა ჩვენი ღმერთის ხსნა, ძალა და მეფობა და მისი ქრისტეს ხელმწიფება“ – მუხ. 10.

IV. ანნას განცდა გვიჩვენებს, რომ ჩვენ უნდა გადმოვღვაროთ ჩვენი სამშინველი უფლის წინაშე ჩვენს მწუხარებაში (1 მეფ. 1:6, 10, 15-16); გამოსვლის მე-15 თავში ისრაელის შვილები მივიდნენ მერას მწარე წყლებთან; როდესაც ისრაელის ხალხი წუწუნებდა მოსეზე, „შეჰღალადა მოსემ იეჰოვას, და უჩვენა მას იეჰოვამ მორი; ჩააგდო იგი წყალში და წყალი გახდა ტკბილი“ (მუხ. 22-25):

- ა. მორი, რომელიც უფალმა აჩვენა მოსეს, აღნიშნავს სიცოცხლის ხეს; გამოცხ. 2:7-ში საუბარია „სიცოცხლის ხეზე“; ბერძნულ ენაზე სიტყვა, ნათარგმნი როგორც „ხე“ აქ – იგივე სიტყვაა, რომელიც ნათარგმნია როგორც „ხე“ 1 პეტ. 2:24-ში:
 1. სიცოცხლის ხე გამოცხ. 2:7-ში აღნიშნავს ჯვარცმულ (რაზეც მიუთითებს ხე როგორც მორი – 1 პეტ. 2:24) და აღმდგარ (რაზეც მიუთითებს ღმერთის სიცოცხლე – იოანე 11:25) ქრისტეზე; აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ხე, რომელიც მოსემ ჩააგდო მწარე წყლებში, წარმოადგენდა ჯვარცმულ და აღმდგარ ქრისტეს როგორც სიცოცხლის ხეს.
 2. როდესაც ჩვენ შევძახით უფალს ღოცვაში, ის გვიჩვენებს ჩვენ ხედვას ჯვარცმული და აღმდგარი ქრისტესი როგორც სიცოცხლის ხეს; ჩვენი ღოცვის მეშვეობით, როდესაც ჩვენ ვღვრით ჩვენს სამშინველს უფლის წინაშე, ჩვენ ვაგდებთ ამ ხეს მწარე წყლებში ჩვენი არსებისა; მაშინ ეს მწარე წყლები გადაიქცევა ტკბილ წყლებად მისი თანდასწრებისა.
- ბ. ანნას ღოცვა გამოვიდა მისი მწარე ვითარებებიდან და მისი დამწუხრებული არსებიდან (1 მეფ. 1:6, 10); მან უთხრა ყელის: „სულში დამწუხრებული ქალი ვარ... იეჰოვას წინაშე ვღვრიდი ჩემს სამშინველს... რადგან დიდი მწუხარებისა და სიმწრის გამო ვღაპარაკობდი ამდენ ხანს“ (მუხ. 15-16); ფსალ. 62:8-ში ნათქვამია: „დაიმედებული იყავით მასზე ყოველთვის, ხალხნო; გადმოღვარეთ მის წინაშე თქვენი გული; ღმერთი არის თავშესაფარი ჩვენითვის. სელა“; ასეთი ღოცვა

ღმერთთან შეხების მიზნით შედგება სიტყვებისაგან, რომელიც წარმოთქმულია გულწრფელად გულიდან.

- გ. როდესაც ჩვენ აღმოვჩნდებით მწარე ვითარებებში და დამწუხრებული ვართ ჩვენს არსებაში, ჩვენ უნდა გადმოვდვაროთ ჩვენი სამშეინველი ჩვენს გულთან ერთად უფლის წინაშე, ყიყოთ ნამდვილები და წრფელები მასთან; ასეთი ლოცვა წარმოქმნის გამარჯვებულებს, რომლებიც მოიყვანენ მეფეს სამეფოსთან ერთად.
- გ. როდესაც ჩვენ მივდივართ „მწარე წყლებთან“, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ღმერთი თავისი უზენაესი ძალაუფლების თანახმად და საიდუმლოდ აღგვიძრავს ჩვენ, რომ ვილოცოთ სასოწარკვეთით არა მარტო ჩვენი შინაგანი განკურნებისათვის (გამ. 15:26), არამედ უმეტეს წილად გამარჯვებული ნაზარეველების წარმოსაქმნელად, რომლებიც ითანამშრომლებენ მასთან იმ საკითხში, რომ მოიყვანონ მეფე მის სამეფოსთან ერთად, – როდესაც ღმერთის სახელი იქნება აღმატებული მთელ დედამიწაზე (ფსალ. 8:1) და სამეფო ქვეყნიერებისა გახდება „ჩვენი უფლის და მისი ქრისტეს სამეფო, და ის იმეფებს მარადიულად (გამოცხ. 11:15).